



სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებელი ცხოველების დაცვის ევროკონვენციაში ცვლილებების შეტანის პროტოკოლი

სტრაზბურგი, 6.II.1992

ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება ხელს აწერენ შემდეგს,

გაითვალისწინეს 1976 წლის 10 მარტს მიღებულ სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებელ ცხოველთა დაცვის ევრო კონვენცია, შემდგომში “კონვენცია”,

განიხილეს, სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებელ ცხოველთა დაცვის ევრო კონვენციის გაფართოვების შესაძლებლობები, ასევე მეცხოველეობის ტექნოლოგიების განვითარების ასპექტები, კერძოდ ბიოტექნოლოგია და ფერმებში ცხოველთა დაკლის საკითხები და შეთანხმდნენ შემდეგზე:

სტატია 1

უნდა შეიცვალოს კონვენციის 1 სტატია შემდეგით:

„კონვენცია უნდა შეეხოს ცხოველთა მოვლა-პატრონობასა და შენახვას, კერძოდ იმ ცხოველებისა, რომლებიც იმყოფებიან თანამედროვე ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სისტემების პირობებში. ამ კონვენციაში ნახსენები “ცხოველი” გულისხმობს ცხოველთა ჯიშს ან მათ შენახვას საკვების, მატყლის, ტყავის ან ბეწვის წარმოების ან სხვა სასოფლო-სამეურნეო მიზნით, კერძოდ, ცხოველური პროდუქცია, როგორც გენეტიკური მოდიფიკაცია ან ახალი გენეტიკურ კომბინაცია. “თამედროვე ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემები” გულისხმობს მეურნეობის მეთოდებს, რომელშიც ხორციელდება ცხოველების პატრონობა, შესაბამისი პირობებით ან პროდუქტიულობის დონით, სადაც მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დამოკიდებულია ადამიანების ყურადღებაზე“.

სტატია 2

კონვენციას უნდა ჩაემატოს ახალი მე-3 სტატია, რაც შეიცავს შემდეგს:

„უნდა აიკრძალოს ცხოველთა ბუნებრივი ან ხელოვნური გამრავლება ან გამრავლების ისეთი პროცედურები, რაც იწვევს ფიზიკურ ან გონებრივ ტანჯვას; არ უნდა გამოვიყენოდ ცხოველებს სასოფლო-სამეურნეო მიზნით, თუ არ არის დაგენილი მისი გენოტიპი ან ფენოტიპი, და თუ შესაძლებელია, რომ ამ გარემოებამ უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე“.

სტატია 3

კონვენციის მე-3 სტატია უნდა გადაინომროს მე-3 ბ სტატიად.

სტატია 4

კონვენციის მე-6 სტატია უნდა შეიცვალოს შემდეგით:

„ცხოველებს არ უნდა მიეწოდოს ისეთი საკვები ან სითხე რაც მათ ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვას მიაყენებს, ასევე საზიანო შემადგენლობების მქონე საკვების.“

არ შეიძლება ისეთი პრეპარატების გამოყენება, გარდა თერაპიული და პროპილაქტიკური მიზნისათვის, რაც არ არის გამართლებული და დამტკიცებული მეცნიერული შესწავლით და საფრთხეს უქმნის ცხოველის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.“

სტატია 5

კონვენციის მე-7 სტატია უნდა შეიცვალოს შემდეგით:

„1. პერიოდულად უნდა შემოწმდეს ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პირობები და მდგომარეობა, ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემების პირობებში უნდა განხორციელდეს დღეში ერთხელ.“

2. ფერმაში ცხოველების დაკვლის პროცესი უნდა განხორციელდეს კომპეტენტურად, ტკივილისა და ტანჯვის გარეშე, ამ პროცესმა არ უნდა მიაყენოს ზიანი ასევე სხვა ცხოველების სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას.

3. თანამედროვე ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სისტემებში დღეში ერთხელ მაინც უნდა შემოწმდეს ტექნიკური მოწყობილობები და რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მინიმალურ დროში უნდა მოხდეს მისი გამოსწორება. თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია დაუყოვნებლივ, მაშინ აუცილებლად უნდა შევუქმნათ ცოველებს ყველა სხვა საჭირო პირობები მათი კეთილდღეობისთვის.“

სტატია 6

1. ცვლილებების შეტანის პროტოკოლი ღია უნდა იყოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის და ევრო-ეკონომიკური გაერთიანებისათვის, რომელიც

გახდება ცვლილებების შეტანის პროტოკოლის წვერი შემდეგი პროცედურებით :

ა. ხელმოწერა, რატიფიკაციის ან მიღების ან დამტკიცების რეზერვაციის გარეშე, ან

ბ. ხელმოწერა, რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების სუბიექტი, რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების შესაბამისად.

2. ევროსაბჭოს არცერთ წევრ ქვეყანას არ აქვს უფლება ხელი მოაწეროს კონვენციას რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების რეზერვაციის გარეშე ან რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტების შენატანის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი წარმოადგენს ან ამავდროულად ხდება კონვენციის მხარე.

3. ევროსაბჭოს ნებისმიერი არაწევრი ქვეყანა, რომელიც მიღებულია კონვენციაში, მიიღება ცვლილებების შეტანის პროტოკოლში.

4. რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ინსტრუმენტების შეტანილი უნდა იყოს ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

სტატია 7

მე-6 სტატიის თანხმად, ცვლილებების შეტანის პროტოკოლი ძალაში უნდა შევიდეს კონვენციის ყველა მხარის ცვლილებების პროტოკოლის მხარედ გახდომის თვიდან პირველივე დღეს.

სტატია 8

ცვლილებების შეტანის პროტოკოლის ძალაში შესვლის დღიდან იგი ხდება კონვენციის განუყოფელი ნაწილი.

სტატია 9

პროტოკოლში არ გაითვალისწინება რეზერვაციები.

სტატია 10

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა აცნობოს ევრო საბჭოს წევრ ქვეყნებს ან კონვენციაში მიღებულ სხვა მხარეებს და ევრო-ეკონომიკურ გაერთიანებას შემდეგი:

ა. ნებისმიერი ხელმოწერა ცვლილებების შეტანის პროტოკოლზე;

ბ. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დეკლარაციების დამატება;

გ. ცვლილებების შეტანის პროტოკოლის ძალაში შესვლის თარიღი, მე-7 სტატიის თანახმად;

დ. ცხლილებების შეტანის პროტოკოლთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტი, დეკლარაცია, უწყება ან კავშირი.

ხელმომწერი ვამტკიცებთ და სრული უფლებამოსილებით ხელს ვაწერთ აღნიშნულ პროტოკოლს.

მიღებულია სტრაზბურგში 1992 წლის 6 თებერვალს, იგლისურ და ფრანგულ ენაზე, ორივე ტექსტი ერთნაირია და ერჯერადი კოპია რჩება ევროსაბჭოს არქივში. ევროსაბჭოს გენერალულმა მდივანმა დამოწმებული კოპიო უნდა გადასცეს ევროსაბჭოს ყველა წევრ ქვეყანას, კონვენციის ყველა კონტრაქტორ მხარეს და ევრო-ეკონომიკურ გაერთიანებს.